## საჯარო სამართლის იურიდიული პირი -

## ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ბრძანება №01-08/298**

ქ. ბათუმი 26 ივნისი, 2020 წელი

**ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის მშენებლობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს მოქალაქე ლუკა მაკარაძის ჩარიცხვის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22–ე მუხლის პირველი პუნქტის, 52–ე მუხლის მე–3 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ'' ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილების, ,,საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში ბსუ-ს სტუდენტთა შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 29 ივნისის №55 დადგენილების, ,,ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლის უფლების მინიჭების თაობაზე“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს 2020 წლის 2020 წლის 09 ივნისის ბრძანების (MES 5 20 0044 71 44), ლუკა მაკარაძის მიერ უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების (გაცემული სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2020 წლის 21 მაისის MES 0 20 00396416, ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის დეკანის 2020 წლის 10 ივნისის MES 6 20 0000454141 მოხსენებითი ბარათის, ლუკა მაკარაძის 2020 წლის 10 ივნისის MES 4 20 0000454996 განცხადების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს მოქალაქე ლუკა მაკარაძე (პ/ნ ჩაირიცხოს ბსუ-ს ტექნოლოგიური ფაკულტეტის მშენებლობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე და დაიწყოს სწავლა 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან, სწავლების მესამე სემესტრიდან, მის მიერ უცხოეთში (კიევის ტურიზმის, ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე) ათვისებული და ბსუ-ს მშენებლობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადი 30 კრედიტის **(დანართი №1)** გათვალისწინებით.
2. ბრძანება აისახოს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრში.
3. წინამდებარე ბრძანების გათვალისწინებით უზრუნველყოფილი იქნეს: ტექნოლოგიური ფაკულტეტის მიერ - ლუკა მაკარაძესთან ხელშეკრულების გაფორმების ორგანიზება, ხოლო სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის მიერ - სტუდენტურ პორტალზე ატვირთვა).

4. ბრძანება დაეგზავნოს საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტრატეგიული განვითარებისა და საგარეო ურთიერთობათა დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ბსუ-ს ტექნოლოგიურ ფაკულტეტს და ლუკა მაკარაძეს, ასევე განთავსდეს მის პირად საქმეში.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის №30).

რექტორი, ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში

ბსუ-ს რექტორის 2020 წლის --26-- ივნისის

ბრძანების

N 01-08/298

დანართი №1

უკრაინის ქალაქ კიევის ტურიზმის, ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ლუკა მაკარაძის (პ/ნ ) მიერ ათვისებული კრედიტების ბსუ-ს მშენებლობის საბაკალავრო პროგრამასთან თავსებადობის შესახებ

| კიევის ტურიზმის, ეკონომიკისა და სამართლის უნივერსიტეტის მენეჯმენტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შესწავლილი სასწავლო კურსები | | | ბსუ-ს „მშენებლობის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსები | | აღიარებული კრედიტები სულ | შეფასება | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | კრედ. | შეფასება | დასახელება | კრედ. | | | |
| უმაღლესი გამოყენებითი მათემატიკა | 6 | 60 | მათემატიკა ინჟინრებისათვის I | 5 | 5 | 60 | |
| ინფორმატიკა | 4 | 62 | საინფორმაციო ტექნოლოგიები | 5 | 5 | 62 | |
| ადამიანის უსაფრთხოება | 3 | 63 | არჩევითი სასწავლო კურსი | | 3 | 63 | |
| საინჟინრო და კომპიუტერული გრაფიკა | 3 | 62 | | | 3 | 62 | |
| სიცოცხლის უსაფრთხოება | 3 | 62 | | | 3 | 62 | |
| უცხო ენა (პროფესიული მიმართულებით) | 5 | 62 | | | 5 | 62 | |
| ეკონომიკური თეორია (მიკროეკონომიკა, მაკროეკონომიკა) | 6 | 60 | | | 6 | 60 | |

სულ აღიარებული 30 კრედიტის გათვალისწინებით სტუდენტს შეუძლია სწავლა გააგრძელოს 2020-2021 სასწავლო წელს შემოდგომის სემესტრში სწავლების III სემესტრიდან.